სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/204

ქ. თბილისი 27 აგვისტო 2018 წ.

2018-2019 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრისათვის სტუ-ში ფაკულტეტების მიხედვით რიგგარეშე მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სწავლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, თამარ წერეთლის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №01-05-02/16 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 22 აგვისტოს N772/ი ბრძანების საფუძველზე 2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის სტუ-ში ფაკულტეტების მიხედვით სტუდენტთა რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვისათვის დამტკიცდეს:

ფაკულტეტი	საგანმანათლებლო პროგრამა	საფეხური	ვაკანტური ადგილების რაოდენობა
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების	სამართალმცოდნეობა	ბაკალავრიატი	100
	სამართალი	მაგისტრატურა	2
ბიზნეს ტექნოლოგიების	ბიზნესის ადმინისტრირება	ბაკალავრიატი	30

დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე